ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამის სახელწოდება – მსოფლიო ეკონომიკა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი – ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისიხი მსოფლიო ეკონომიკაში (PhD in World Economy)

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლარისა ყორღანაშვილი**

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- **<u>მიზანი:</u>**

მსოფლიო ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალი საერთაშორისო ეკონომისტები, რომლებზეც დიდი მოთხოვნაა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა ტიპის სახელმწიფო და ბიზნეს-სტრუქტურებში. სტუდენტები შეიძენენ მსოფლიო ეკონომიკის ღრმა თეორიულ ცოდნას და აითვისებენ გამოყენებითი ხასიათის კვლევისათვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, გლობალური ეკონომიკისა და საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის თეორიულ საფუძვლებს, ასევე, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პოლიტიკურ, სოციალურ და ეთიკურ მხარეებს.

მსოფლიო ეკონომიკის სადოქტორო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიკაციით, რის შედეგად საქართველო აქტიურად ჩაერთო მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში. გლობალურ ეკონომიკური სივრცეში სუვერენული სახელმწიფოს ეფექტიანი ინტეგრირებისა და მეცნიერულად დასაბუთებული საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციას მაღალი დონის სპეციალისტები სჭირდება. სწორედ ასეთი სპეციალისტების მომზადებას ემსახურება მსოფლიო ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა.

პროგრამის გამოკვეთილი თავისებურებაა ინტეგრირებული ცოდნის მიღების შესაძლებლობა. იგი მოიცავს თემებს ისეთი სფეროებიდან, როგორებიცაა: პოლიტიკის, ფსიქოლოგიის, სტრატეგიისა და ოპერატიული პრობლემები მსოფლიო ეკონომიკაში, ორგანიზაციული სწავლება და ცოდნის მართვა, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული პროცესების ზემოქმედება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

პროგრამის კვლევის სფეროა გლობალური ეკონომიკა და ეკონომიკური უსაფრთხოება, საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო ფინანსები და ბანკინგი, ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგია და ტაქტიკა გლობალურ ეკონომიკურ გარემოში, საერთაშორისო კონკურენცია და ქვეყნების კონკურენტუნარიანობა, ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ზრდა და განვითარება, წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობა, სხვადასხვა ქვეყნების საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერი, გლობალური ეკონომიკური გარემო, გლობალური ეკონომიკური პრობლემები და სხვა.

- **<u>შედეგი</u>**

ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი მსოფლიო ეკონომიკაში ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც:

- აქვთ ფუნდამენტური თეორიული, სპეციალური და სისტემური ცოდნა მსოფლიო ეკონომიკაში, შეუძლიათ ამ ცოდნის გამოყენება საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და ფინანსური აქტივების საერთაშორისო მოძრაობის კანონზომიერებების, მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ანალიზისათვის და გლობალურ ეკონომიკურ საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად და მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის;
- გააჩნიათ საერთაშორისო ეკონომიკური, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის, გლობალური ეკონომიკური ტენდენციების ანალიზის, მიღებული შედეგების შეჯერებისა და სინთეზის, განზოგადებული დასკვნის გაკეთების უნარი;
- შეუძლიათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან;
- შესწავლილი აქვთ მსოფლიო ეკონომიკის კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია და შეუძლიათ მათი პრაქტიკული გამოყენება;
- თეორიულად და პრაქტიკულად აქვთ ათვისებული სწავლების თანამედროვე ფორმები და მეთოდები;
- გააჩნიათ პედაგოგიური, კრეატიული და ინოვაციური საქმიანობის, მეცნიერული კვლევის უნარ-ჩვევები.

- <u>დასაქმების სფეროები</u>

პროგრამა პასუხობს იმ ადამიანთა ინტერესებს, რომელთაც სურთ პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. კურსდამთავრებულები შეძლებენ თანამდებობების დაკავებას საგანმანათლებლო და საკონსულტაციო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კომპანიებში.

- <u>სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები</u>

მსოფლიო ეკონომიკის ინდივიდუალურ სადოქტორო პროგრამაზე ჩაირიცხებიან ის მაძიებლები და ასპირანტები, რომლებიც სწავლობდნენ მსოფლიო ეკონომიკის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და საერთაშორისო ბიზნესის სპეციალობებზე და რომელთაც მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და აპრობაცია აქვთ გავლილი. დოქტორანტურაში მათი ჩარიცხვა მოხდება მინიმალური სტანდარტით განსაზღვრული წესით. უნივერსიტეტის დოქტორანტურაში ჩარიცხული ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც მინიმუმის საგნები აქვთ ჩაბარებული ან/და აპრობაცია აქვთ გავლილი, თავისუფლდებიან მინიმალური სტანდარტით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის კრედიტების დაგროვებისაგან. დისერტაციის წარდგენა და დაცვა ხორციელდება მინიმალური სტანდარტით დადგენილი წესით. გამოქვეყნებული სამი სტატიიდან ორმა უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება. უკვე ჩარიცხული დოქტორანტები, რომელთაც დისერტაცია აქვთ წარდგენილი დასაცავად, წარმოადგენენ გამოქვეყნებულ სტატიას საერთაშორისო რეცენზირებისათვის. საერთაშორისო რეცენზირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი.

- <u>განსაკუთრებული პირობები</u>

დისერტაციის დაცვამდე დოქტორანტს კვლევის სფეროში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში (თითოეული პუბლიკაცია ფასდება 10 კრედიტით). მათგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო რეცენზირება. თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია დაცვის პროცესში დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უცხოელი შემფასებლის ჩართვა, დისერტანტს მოეთხოვება ორი სტატიის გამოქვეყნება, მათგან ერთის საერთაშორისო რეცენზირება. რეცენზირებადი ჟურნალების ნუსხას ადგენს სადისერტაციო საბჭო. ექსპერტები სტატიებს შეაფასებენ საერთაშორისო კრიტერიუმებით. ქულების მაქსიმალური რაოდენობა არის 20. გამსვლელი ქულა არის 15. 11-15 ქულის შემთხვევაში დოქტორანტმა 6 თვის განმავლობაში უნდა გადაამუშავოს სტატია. 11 ქულაზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში დოქტორანტმა უნდა დაწეროს ახალი სტატია.